Arabesque

„არაბესქი" ჟურნალი ბალეტზე №3(11)'08



PEOPLE'S BANK
სახალხო ბანკი

კულტურის
შენარჩუნებისთვის


Your Network

No3(11)'08

Arabesque

Ballet Magazine

„არაბესკი" ჟურნალი ბალეტზე



გარეკანზე: სცენები ირჟი კილიანის ბალეტებიდან

პირველ გვერდზე: „Stepping Stones"

მეოთხე გვერდზე: „Sechs Tänze"

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო
თეატრის საბალეტო დასის ჟურნალი

MAGAZINE IN GEORGIAN ABOUT
THE BALLET COMPANY OF THE TBILISI Z. PALIASHVILI
OPERA AND BALLET STATE THEATRE

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი
ნინო ანანიაშვილი

ARTISTIC DIRECTOR OF THE BALLET COMPANY
NINO ANANIASHVILI

რედაქტორი	Editor
ილია თავბერიძე	ILIA TAVBERIDZE
ტექნიკური რედაქტორი	Technical Editor
ქეთევან ნოზაძე	KETEVAN NOZADZE

ნომერში დაბეჭდილია ლადო ვაჩნაძის ფოტოები

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25
25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA

ტელ/TEL: +995 32 99 93 64

UDC(უაკ)792.8
A-70

ISSN 1512-3294

© 2008 JB Design

www.opera.ge

02 BALLET-NEWS

04 არქმევრის წინ
კილიანის ყოველი ახალი ბალეტი
მოცეკვავისათვის გამოწვევაა

06 არქმევრის წინ
პატრიკ დელკრუა:
კილიანთან მთავარი მუსიკალურობაა

07 არქმევრის წინ
ქეის თიეგესი: კილიანის ბალეტების
შეცნობამ ადამიანები უკეთესი უნდა
გახადოს ცხოვრებაში

08 ახალი სპექტაკლები
ფიქრის ქორეოგრაფია

11 გასტროლი
„სიამაყე და მგზნებარება
მზიანი ქვეყნიდან"

16 ჩემო ჩელიტა, ნახვამდის!

18 თაობა
კლას-კონცერტიდან
კონკიას სიზმარში

20 ხსოვნა
გიორგი ალექსიძე

22 ჩვენ გვერდით
„ჩემთვის ასი წლის
სპექტაკლიც ახალივითაა"

23 SUMMARY

პრეს–კონფერენცია პრემიერის წინ

16 ოქტომბერს, ირჟი კილიანის ბალეტების პრემიერის წინ, თეატრის ცისფერ დარბაზში პრეს-კონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების წინაშე დამდგმელი ჯგუფი ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა წარადგინა. პრეს-კონფერენციაში მონაწილეობდნენ: დამდგმელი ბალეტმაისტერები ნენსი ეუვერინკი და პატრიკ დელკრუა, განათებისა და სცენის ადაპტაციის მენეჯერი ქეის თიებესი. ნინო ანანიაშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ კილიანის ბალეტების დადგმის უფლების მიღება ჩვენი დასის მიერ სერიოზული განაცხადია. ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში არც ერთი საბალეტო დასის რეპერტუარში ირჟი კილიანის ბალეტები არ არის. „მაყურებელი, ვფიქრობთ, კარგად მიიღებს მსოფლიოში აღიარებული ქორეოგრაფის შედევრებს. ჩვენი მოცეკვავეები ირჟი კილიანის პლასტიკას მიჩვეულნი არ არიან. ამიტომ, ცხადია, ძალიან რთული იყო ახალ მოძრაობებთან შეგუება, თანაც მიმიკის გამოყენებით. როგორ შესძლეს ეს თავად მაყურებელმა განსაჯოს“ – განაცხადა პრეს-კონფერენციაზე ნინო ანანიაშვილმა.

თავიანთ გამოსვლებში დამდგმელი ჯგუფის წევრებმა კმაყოფილება გამოთქვეს დასთან მუშაობის გამო და ისურვეს, რომ შემოქმედებითი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდეს.

დასის ქრონიკა

ამური – ნინო მათიაშვილი („დონ კიხოტი“)

18 ოქტომბერს გაიმართა ირჟი კილიანის ბალეტების პრემიერა. მთავარი პარტიები “Stepping Stones”-ში შეასრულეს ლალი კანდელაკმა, ცისია ჩოლოყაშვილმა, ნინო გოგუამ, ანა მურადელმა, ვასილ ახმეტელმა დავით ხოზაშვილმა, ლაშა ხოზაშვილმა, ირაკლი ბახტაძემ; ხოლო მოცარტის “Sechs Tänze”-ში მარიამ ალექსიძემ, ნინო ოჩიაურმა, ლანა მღებრიშვილმა, ეკატერინე ლომინაძემ, დავით ანანელმა, გიორგი ჩხაიძემ, გიორგი ბერიძემ, გაგა გოგუამ. ამ ერთმოქმედებიან ბალეტში ასევე მონაწილეობდნენ მორის მესხია, ზურა კარიჭაშვილი, ეკა მარშანია, ქეთი აბრალავა.

18 ოქტომბერს „ბიზეს ვარიაციებში“ პირველი გამოსვლა ჰქონდა ანა მურადელს. მას პარტნიორობას ირაკლი ბახტაძე უწევდა, რომელსაც, თებერვალში ამერიკის შეერთებულ შტატებში გასტროლებსა და აგვისტოში ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე გამოსვლის შემდეგ, თბილისში ამ პარტიაში პირველად მოუხდა გამოსვლა. 22 ოქტომბერს კი „ბიზეს ვარიაციებში“ ასევე პირველი გამოსვლა ჰქონდათ ანა ტურაზაშვილსა და ანა გორგიაშვილს. მათ პარტნიორობას დავით ხოზაშვილი და დავით ანანელი უწევდნენ.

ვარიაცია – ანა ტურაზაშვილი („დონ კიხოტი“)

30 ოქტომბერს „დონ კიხოტში“ გამაშის პარტია პირველად შეასრულა გიორგი ჩხაიძემ, ამურის პარტიაში პირველი გამოსვლა ჰქონდა ნინო მათიაშვილს.

2 ნოემბერს „დონ კიხოტში“ მეორე ვარიაცია გრან პაში პირველად იცეკვა ანა ტურაზაშვილმა.

7 ნოემბერს ბალეტში „ორი მტრედი“ ბოშა ქალის პარტია პირველად იცეკვა ნინო მახაშვილმა. 9 ნოემბერს ბოშა მამაკაცის პარტიაში პირველი გამოსვლა ჰქონდა ვასილ ახმეტელს.

„კონსერვატორიაში“ პირველი გამოსვლა ჰქონდათ ანა ტურაზაშვილსა და შორენა ხაინდრავას.

ქართული ბალეტის მეგობრები კვლავ შეიკრიბნენ

18 ოქტომბერს, 157-ე თეატრალური სეზონის პირველი საბალეტო პრემიერის წინ, თეატრის წითელ დარბაზში შეიკრიბნენ ის ადამიანები, რომლებმაც კვლავ გამოთქვეს სურვილი ამ თეატრალურ სეზონშიაც დაუჭირონ მხარი ქართულ ბალეტს. თავის გამოსვლაში საზოგადოების თავმჯდომარემ მარიელა ტეფტმა აღნიშნა, რომ საზოგადოება მოწოდებულია ხელი შეუწყოს მომავალი თაობის აღზრდას საბალეტო ხელოვნებისათვის. ამ მიზნით საზოგადოება ყოველწლიურად გასცემს სტიპენდიებს. წელსაც ასე მოხდა:

ლია გოგოლაშვილის სახელობის სტიპენდია **ანა გვიმრაძემ** მიიღო. **ნელი გიფსონის** სახელობის სტიპენდიები – **მელორ ქოქაშვილმა და თენგიზ ხუციშვილმა; მერილის სევილია-გონზაგას** სახელობის სტიპენდია – **თამარ ხურცილავამ; მაიუმი ინოს** სახელობის სტიპენდია – **რატი სხირტლაძემ; იზუმი ტაკაჰაშის** სახელობის სტიპენდია – **მარიამ მათითაიშვილმა; ვირჯინია მინგესის** სახელობის სტიპენდია კი – **შოთა ჭავჭანიძემ**.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების წევრები
LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET

სეზონი 2008/09 SEASON

1.	ვახტანგ ანანიაშვილი Vakhtang Ananiashvili	ოქროს წრე Gold
2.	პერ და ულა იკლუნდები Per Eklund and Ulla Lindhe Eklund	ოქროს წრე Gold
3.	ლუკ ჟანსენსი Luc Janssens	ოქროს წრე Gold
4.	დოქტორი ედვარდ რაუპი Luc Janssens	ოქროს წრე Gold
5.	ელვირა სანდალი Elvira Sandalli	ოქროს წრე Gold
6.	ჯონ და მარიელა ტეფტები John F. Tefft and Mariella C. Tefft	ოქროს წრე Gold
7.	ტონი ტოშევი Toni Ivanov Toshev	ოქროს წრე Gold
8.	ნენსი ჰარისი Nancy Pendarvis Harris	ოქროს წრე Gold
9.	სილვა აკოპიანი Silva Akopian	ვერცხლის წრე Silver
10.	პიერ არლოვი Pierre Orloff	ვერცხლის წრე Silver
11.	ჟანის გარდინა Janis Gardina	ვერცხლის წრე Silver
12.	მერილის სევილია-გონზაგა Marylis Sevilla-Gonzaga	ვერცხლის წრე Silver
13.	ონო ელდერენბოსხი Onno Elderenbosch	ვერცხლის წრე Silver
14.	სინთია ვითლესი Cyntia Whittlesey	ვერცხლის წრე Silver
15.	მაიუმი ინო Mayumi Iino	ვერცხლის წრე Silver
16.	ლია მაჭავარიანი Lia Machavariani	ვერცხლის წრე Silver
17.	ჯინჯერ მინგესი Jinjer Minges	ვერცხლის წრე Silver
18.	ვირჯინია მინგესის ხსოვნის საპატივცემულოდ In memory of Virginia Minges	ვერცხლის წრე Silver
19.	დაგმარ რაუდამ Dagmar Raudam	ვერცხლის წრე Silver
20.	ნინო სვანაძე Nino Svanadze	ვერცხლის წრე Silver
21.	ლიკა საღარაძე Lika Sagaradze	ვერცხლის წრე Silver
22.	იზუმი ტაკაჰაში Izumi Takahashi	ვერცხლის წრე Silver
23.	დენის და კატერინა ქიფები Denis Keefe and Catherine Keefe	ვერცხლის წრე Silver
24.	ელდარ და ნელი შენგელაიები Eldar Shengelaia and Neli Shengelaia	ვერცხლის წრე Silver
25.	მერი შიჰანი Mary Sheehan	ვერცხლის წრე Silver

კილიანის ყოველი ახალი ბალეტი მოცეკვავისათვის გამოწვევაა

ირჟი კილიანის ბალეტების დადგმის უფლების მისაღებად ქართული საბალეტო დასის ხელმძღვანელს დიდი და მრავალწლიანი შრომა დასჭირდა. ქორეოგრაფის წარმომადგენლები თბილისში რამდენჯერმე იყვნენ ჩამოსულნი, დაესწრნენ სპექტაკლებს. მერე, როცა ნებართვა მივიღეთ და ბალეტმაისტერები დადგმების დასაწყებად გვესტუმრნენ, თბილისში ნოემბრის ცნობილი მოვლენები დაიწყო. სტუმრებმა თავაზიანად მიგვანიშნეს, რომ ახლა ჩვენთან კილიანის ბალეტების დადგმის დრო არ იდგა. დადგმამ ერთი წლით გადაიწია და მორიგი სამუშაო უკვე ომგამოვლილ ქვეყანაში ჩატარდა. პრემიერამდე ჩვენ ვესაუბრეთ დამდგმელ ბალეტმაისტერებს, ირჟი კილიანის დასის (ნიდერლანდების ცეკვის თეატრის) ყოფილ მოცეკვავეებს ნენსი ეუვერინკს, კენ ოსოლასა და პატრიკ დელკრუას:

კილიანის ბალეტების დადგმის უფლების მისაღებად ბევრი შრომა გახდა საჭირო. რა კრიტერიუმები გაქვთ?

ნენსი ეუვერინკი: უპირველესად გამოკვეთილი უნდა იყოს დასის დონე. მათ უნდა გააჩნდეთ კლასიკური ცეკვის ცოდნის მაღალი ხარისხი და საშემსრულებლო ოსტატობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. კილიანს ძალიან უყვარს, აინტერესებს როგორ ითვისებენ ის მოცეკვავეები მის ბალეტებს, რომლებსაც არასოდეს ჰქონიათ შეხება მის სტილთან.

ნენსი ეუვერინკი რეპეტიციაზე

ჩვენმა დასმა გაამართლა თქვენი იმედები?

კენ ოსოლა: კილიანის ნამუშევრები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მუსიკაზე. სწორედ ეს არის, რაზედაც ახლა გვჭირდება მუშაობა; იმ ნაწილზე, რომელსაც მუსიკა სჭირდება და იმ ნაწილზე, როცა არის პაუზა, სიწყნარე მუსიკას შორის. სხვა მხრივ კმაყოფილი ვარ იმით, რაც ვნახე და იმით, რა დონეზეც ვმუშაობთ.

დასში ჩანს პოტენცია, რომ სრულად იქნეს მიღწეული კილიანის ბალეტე-

ბისათვის საჭირო ცეკვის დონე და ჩანს სურვილიც ამ დონის მიღწევისათვის.

ნენსი: კენს დავეთანხმები, რომ მუსიკალურობა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს მუშაობაში. თუმცა, ამ ბალეტში მუსიკა არ არის მელოდიური, საჭიროა ამ ტიპის სპეციფიკურ მუსიკაზე მიჩვევა, სიჩუმის მომენტებში ყურადღებით ყოფნა, რადგან ასეთ მომენტებს თქვენ ყურადღებით უსმენთ და უკვირდებით.

კენ ოსოლა რეპეტიციაზე

პრემიერის შემდეგ

თქვენ თავად ცეკვავდით ამ ბალეტში და ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თბილისში სწორედ თქვენ გიწევთ მუშაობა...

ნენსი: მე და კენი ვიყავით ამ ბალეტის პირველ შემსრულებელთა შორის და ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, რომ სწორედ კენთან მომიწია ცეკვა. ძალიან ახლებური შთაბეჭდილება და გამოცდილება იყო პუანტზე ცეკვა. მანამდე განსაკუთრებით არ ვიყავი ამას მიჩვეული. ყველაზე ძალიან, რაც კილიანის ბალეტებში მთავარია, ეს არის ყურადღების მნიშვნელობა, როცა მოცეკვავეთა მთელი ჯგუფი სცენაზეა და მათ მოეთხოვებათ, რომ კონცენტრირებულნი იყვნენ. ახლა ბევრი რამის გახსენება გვიწევს და ეს არანაკლებ სასიამოვნო პროცესია.

კენი: დიდი გამოწვევა იყო ამ ბალეტში ცეკვა. ეს არ იყო ადვილი. მას შემდეგ, რაც ამ ბალეტში ვიცეკვე და კილიანის სტილს გავეცანი, მისი ყოველი ახალი ბალეტი ჩემთვის კვლავ გამოწვევად რჩებოდა.

ნენსი: სხვათა შორის Steping Stones პირველად ვდგამთ. სხვადასხვა კომპანიებში კილიანის სხვა ბალეტები დაგვიდგამს.

მას შემდეგ, რაც კილიანმა დატოვა ნიდერლანდების ცეკვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი, რა მდგომარეობაა იქ?

ნენსი: ნიდერლანდების ცეკვის თეატრის მთავარი მიმართულება ახალი ქორეოგრაფების აღმოჩენა და ახალი დადგმების განხორციელებაა. მას შემდეგ, რაც სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი დატოვა, კილიანი ცდილობს წელიწადში ერთხელ მაინც დადგას ახალი ნამუშევარი ამ თეატრში. ქორეოგრაფები, რომლებიც მოდიან თეატრში და იწყებენ დადგმას, თავდაპირველად ახლოს არიან კილიანის სტილთან. მაგრამ, როცა ვითარდებიან, მათი სტილიც მეტ ინდივიდუალობას იძენს და ეს ასეც უნდა იყოს.

რა არის ის ძირითადი, რაც ახაიათებს კილიანის ბალეტებს?

ნენსი: ყველაზე გამორჩეული მომენტი, რაც კილიანს ახასიათებს, ეს არის წარსულის გამოყენება მომავალში სამოძრაოდ; მემკვიდრეობის გამოყენება, რათა მომავალში გავაგრძელოთ ჩვენი ცხოვრება. Steping Stones ეს ძალიან გარკვეულად ჩანს; ჩანს დეკორაციაში, მოძრაობებში...

კილიანს მიაჩნია, რომ მემკვიდრეობისა და მომავლისაკენ სწრაფვის გაერთიანება არის სწორედ ის, რაც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს მის ყოველ ბალეტს.

კენი: აზრობრივად სათაური გამოხატავს მდინარეში გადასასვლელ ქვებს, რომელიც თქვენ გჭირდებათ, რათა მშვიდობიანად გადახვიდეთ მეორე მხარეს. ეს ბალეტი ავსტრალიელ აბორიგენებთან მიღებული შთაბეჭდილებებით შეიქმნა. ქვების იდეა კი თავად კილიანს ეკუთვნის.

პატრიკ დელკრუა: კილიანთან მთავარი მუსიკალურობაა

პატრიკ დელკრუა ირჟი კილიანის დასში 1986 წლიდან 2003 წლამდე ცეკვავდა. იგი ასევე მუშაობდა ისეთ გამოჩენილ ქორეოგრაფებთან, როგორებიც არიან უილიამ ფორსაიტი, მატს ეკი, ნაჩო დუატო, ჰანს ვან მანენი და სხვები. ამჟამად იგი საკუთარ ქორეოგრაფიულ ნამუშევრებს ქმნის ნიდერლანდების ცეკვის თეატრში, ბაზელის, კეიპ ტაუნის, ვენის ოპერის, მონრეალის, ამსტერდამის და სხვა საბალეტო დასებისათვის. ამავე დროს მუშაობს ირჟი კილიანის ასისტენტად და დგამს მის ბალეტებს სხვადასხვა საბალეტო დასებთან. თბილისში პატრიკ დელკრუა მოცარტის მუსიკაზე შექმნილი ირჟი კილიანის ერთმოქმედებიანი ბალეტის - Sechs Tänze-ს დასადგმელად იმყოფებოდა.

პატრიკ დელკრუა რეპეტიციაზე

თქვენ კილიანთან მთელი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ცეკვავდით და ახლაც მუშაობთ. თითქმის ყველა მისი შედევრი თქვენს თვალწინ, თქვენი მონაწილეობით შეიქმნა. რა მოგცათ ამ ჩვიდმეტი წელმა როგორც მოცეკვავეს და როგორც ქორეოგრაფს?

პირველ რიგში ძალიან დიდი სიამოვნება. კილიანთან მხოლოდ მუშაობის პროცესია კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ თქვენი შესაძლებლობები. მას სჭირდება დახმარება მუშაობის პროცესში. ამას თქვენ თავად გრძნობთ. საბოლოო ჯამში კი ვიღებდი დიდი სიამოვნებას.

ამ ორი ბალეტის შემთხვევაში, რომელიც თბილისში იდგმება, კილიანი სხვადასხვა რამეს ითხოვდა ჩვენგან, თუმცა იდეა ერთნაირი იყო. „ექვსი ცეკვის“ შემთხვევაში თქვენ შეგიძლით მოწყდეთ გარესამყაროს, იმ ხასიათში გადახვიდეთ, რომელშიც ეს ბალეტია დადგმული. Steping Stones უფრო მეტ სიზუსტეს, სიჩუმეს მოითხოვს, მაქსიმალური ყურადღებაა საჭირო. ვცდილობდით ის კმაყოფილი ყოფილიყო იმით, რასაც ვაკეთებდით.

ირჟი კილიანი თავის წერილში Sechs Tänze-თან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ბალეტზე მუშაობისას დაეხმარა მოცარტის ერთი წერილი, თავისი ბიძაშვილისადმი მიწერილი.

კილიანთან ყველა მომენტი მნიშვნელოვანია. მოცარტს რაც შეეხება, მნიშვნელოვანია კონტრასტის მომენტი ნათელ და ბნელ სამყაროს შორის, რასაც მოცარტი ყურადღებას აქცევდა. მაგრამ კილიანთან მთავარი მაინც მუსიკალურობაა.

კილიანის ბალეტები ნეოკლასიკაა თუ თანამედროვე ბალეტებს მიაკუთვნებთ?

საკმაოდ რთულია ამის განსაზღვრა. ალბათ დასაწყისი პერიოდის ბალეტები, 1978-1984 წლებისა, შეიძლება უფრო ნეოკლასიკურად მივიჩნიოთ. შემდეგ უფრო მეტად იცვლებოდა სტილი. ბოლო ოთხი წლის ბალეტები უფრო თანამედროვეა.

დასთან მუშაობით კმაყოფილი ხართ?

Sechs Tänze მათთვის უფრო ადვილი იყო, ტექნიკურადაც არაა ეს რთული ბალეტი. მუსიკალურადაც ადვილი აღსაქმელი დარჩა. შედარებით მეტი დრო დასჭირდათ თეატრალობისა და გარდასახვისათვის. Steping Stones-ში უფრო მეტი კონცენტრაციაა საჭირო, ყოველ დეტალზე ყურადღების გამახვილება, იმის ცოდნა, როგორ უნდა იყო უფრო მოშვებული, მსუბუქი. ეს დიდი სამუშაო იყო. ვფიქრობ, მაყურებელი კმაყოფილი დარჩება.

ქეის თიებესი 20 წლის იყო, როცა პირველად ნახა კილიანის ბალეტები და მიზნად დაისახა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ემუშავა ირჟი კილიანთან.

„ბელგიის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ჰოლანდიაში დავბრუნდი. ამ პერიოდში გადავწყვიტე თეატრისათვის თხოვნით მიმემართა და სამუშაო ვითხოვე. პირველი საქმე რაც მომცეს ბალეტის მსახიობთა ფეხსაცმელების გაწმენდა იყო, შემდეგ ვცეკვავდი კიდეც. ერთხელაც ჩვენმა მენეჯერმა გვითხრა, რომ შეგვეძლო დავსწრებოდით საკმაოდ საინტერესო დასის გამოსვლას. ეს იყო 1978 წელს, ჰააგაში გავემგზავრე და ვნახე კილიანის „ფსალმუნთა სიმფონია“. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა კილიანთან. რაც ვნახე, მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მოცეკვავეები ლამაზი განათების ფონზე ცეკვავდნენ, რამაც იმედი მომცა, რომ შემეძლო მათთან დამეკავშირებინა ჩემი ბედი. 90-იან წლებში მივედი ნიდერლანდების ცეკვის თეატრში და ვიკითხე, თუ შეეძლოთ ჩემთვის რაიმე სამუშაოს შემოთავაზება. 2000 წელს კილიანმა სცენაზე მომუშავედ ამიყვანა. შემდეგ კი ყველა თეატრში მასთან ერთად დავდიოდი და დეკორაციების მომზადებაც დამავალა. ამ გამუდმებული მუშაობის შემდეგ ახლა ყოველ თეატრში ვდგამ დიზაინს და ვაკეთებ განათებას, ხანდახან ვცვლი კიდეც მას, თუმცა არ იცვლება ძირითადი არსი. კილიანის ბალეტებში განათება და დეკორაცია უნდა იყოს დამხმარე, იმ ძირითადი არსის გადმომცემელი, რაც გადმოცემულია ქორეოგრაფიაში.

ქეის თიებესი:

კილიანის ბალეტების მეცნობამ ადამიანები უკეთესი უნდა გახადოს ცხოვრებამი

ქეის თიებესი თბილისში ირჟი კილიანის ბალეტების პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა და შეუერთდა დამდგმელ ჯგუფს.
იგი თეატრის ტექნიკურ ჯგუფთან ერთად სცენისა და განათების ადაპტაციაზე მუშაობდა. თავისი საქმის დიდი სპეციალისტი და საკმაოდ საინტერესო მოსაუბრე სიამოვნებით დათანხმდა რამდენიმე სიტყვით ესაუბრა ჟურნალ „არაბესკისთვის“:

გამიმართლა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში კილიანთან მომიწია მუშაობა. მას ახასიათებს გამუდმებული სწრაფვა სრულყოფისაკენ, გამუდმებული სწრაფვა განახლებისაკენ. მან თავის ნაშრომებში მრავალი სტილი შექმნა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე კილიანის შემოქმედება ძალიან მნიშვნელოვანია მე-20 საუკუნის ხელოვნებაში.

ის აღარ არის ნიდერლანდების ცეკვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მაგრამ დადგმას აგრძელებს. ნოემბერში გაიმართება მისი მეასე ბალეტის პრემიერა.

ჩვენს ნაშრომებში ერთ რამეს ვაქცევთ ყურადღებას – ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტების მიუხედავად, რასაც ბალეტებში ვიყენებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცხოვრება მშვენიერია. თქვენ მშვენიერი ქვეყანა გაქვთ, მშვენიერი ღვინო, მშვენიერი გოგონები გყავთ დასში. ამის გააზრება და დანახვა ძალიან მნიშვნელოვანია.

აბორიგენების შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა ერთი ტომი მეორეზე უფრო კარგად ცეკვავს თუ არა. შეიძლება ერთი უფრო მაღლა ხტებოდეს მეორეზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს დამარცხებას ან გამარჯვებას, საბოლოო ჯამში ეს მათი საერთო ნაშრომია, რაც ფასეულია. კილიანმა ეს იდეა მოიტანა ნიდერლანდების ცეკვის თეატრში, რაც საშუალებას გვაძლევს ერთად ვიმუშაოთ. და იმის მიუხედვად, რომ ერთი შეიძლება უფრო ძლიერია მეორეზე, საბოლოო ჯამში ჩვენი საერთო ნამუშევარი ფასდება.

Sechs Tänze მნიშვნელოვანი ბალეტია, უფრო კონტრასტული Stepping Stones-ზე, ნათელი ფერებით. საერთო მათთვის ისაა, რომ მათში მეტად მნიშვნელოვანია მუსიკალურობა. დიდი იმედი მაქვს, რომ მაყურებელი ჩაწვდება მათ არსს და ეს არ იქნება ჩვენი ბოლო შეხვედრა თქვენთან“.

ფიქრის ქორეოგრაფია

ცოტა ხნის წინ ალბათ, ძნელად დასაჯერებელი იქნებოდა, რომ ჩვენს თეატრში შესაძლებელი გახდებოდა ირჟი კილიანის ბალეტების დადგმა. თითქმის ოთხწლიანი მოლაპარაკებები ქორეოგრაფთან ბრწყინვალე შედეგით დაგვირგვინდა – თბილისში მისი ბალეტების პრემიერა შედგა. თავიდანვე არ ყოფილა იმის მოლოდინი, რომ ჩვენი დასი ისეთ შესრულებას შემოგვთავაზებდა, როგორც ამას ნიდერლანდების ცეკვის თეატრი – თავად კილიანის დასი სთავაზობს მაყურებელს. კლასიკური საბალეტო სკოლის აღზრდილი მოცეკვავეებისათვის ძნელია უცებ შეითვისო ახალი, მოდერნის ტიპის მოძრაობები, ჩაწვდე კილიანის ცეკვის ფილოსოფიას. მაგრამ ასეთი ექსპერიმენტები თავად კილიანს აინტერესებს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ამ პრემიერას, თავის დროზე თბილისში ბალანჩინის დასის პირველ გამოსვლას შევადარებთ. ეს სწორედ ამ ტიპის მოვლენაა, რომელიც ხელოვნებაში ცვლის მოვლენათა დინამიზმს, მეტ საფიქრალს უჩენს მაყურებელს. კილიანის ქორეოგრაფია ხომ ფიქრის ქორეოგრაფიაა, რომლის ღერძი მემკვიდრეობითობა და წარსულის გამოყენებაა მომავლისათვის. კილიანმა თავიდანვე დაიწყო ცეკვის ფესვების ძიება. ამ მასალის გამოყენებას ბალეტებში იგი უზადოდ მაღალ დონეზე ახერხებს, სადაც გამომგონებლობა და ფანტაზია უსაზღვროდ დიდია. მისი ბალეტები კლასიკური ცეკვის კანონებისაგან, ჩარჩოებისაგან თავისუფალია. ქორეოგრაფიული სტილი კი დიდად განსხვავებული კლასიკური საიმპერატორო საბალეტო სტილისაგან. კილიანთან უმთავრესი მუსიკალურობაა, მუსიკის წაკითხვა ქორეოგრაფიული ტექსტით, ის რაც თავის დროზე ბალანჩინმა შემოიტანა ბალეტში.

Stepping Stones (გადასასვლელი ქვები) კილიანმა ავსტრალიელ აბორიგენთა ფესტივალზე მიღებული შთაბეჭდილებებით შექმნა. როცა ამ კონტინენტზე ცეკვის დიდი მნიშვნელობის შესახებ ასაკოვან კაცს ესაუბრებოდა, მისი პასუხი მკაფიო და მოკლე იყო: „ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ ეს ცეკვა მამაჩემმა მასწავლა, მე კი ჩემს ვაჟს უნდა ვასწავლო“. წინაპრის მიერ გადმოცემული მემკვიდრეობა ამ კაცს შეუნახავს, რომ მომავალს გადასცეს; ანუ წარსულის გარეშე არ არის აწმყო და არც მომავალი იქნება. კილიანისათვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის კონცეფცია, რასაც ავსტრალიელები თავიანთ ცეკვებში იყენებენ, სადაც კარგად ჩანს საზოგადოების ერთიანობისა და ურთიერთობის მნიშვნელოვანი მომენტი. სწორედ ამ იდეას იყენებს იგი მისი ყოველი ნამუშევრის დადგმის დროს. ყოველთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობის დამყარება როგორც მოცეკვავეებს შორის, ასევე მაყურებელთან. ამაზე ფიქრმა შეაქმნევინა მას ეს ბალეტი – როგორც ტრადიციისა და

STEPPING STONES

მემკვიდრეობის პატივგებისადმი მიძღვნილი ცეკვა. რვა მოცეკვავისაგან შემდგარი ანსამბლი, ოთხი წყვილი თან დაატარებს ქვებს, რომელიც უბრალო დეკორაციულ ელემენტად კი არაა გამოყენებული, იგი წარსულიდან მომავლისაკენ ერთგვარი გზამკვლევია, რომლებზეც სხვადასხვა ცივილიზაციათა ნიმუშებია გამოსახული. მოცეკვავეები მას მოწიწებით, ფრთხილად ეპყრობიან და ერთმანეთს გადასცემენ. ეს გადასასვლელი ბილიკებია, რომელზე გავლაც უწევთ მათ. ისინი ეძიებენ საწყისებს ცეკვაში და ეს ძიება კლასიკური ცეკვის ელემენტებით – ბატმანებითა და პორდებრებით სრულდება სიჩუმეში.

ბალეტი კეიჯისა და ვებერნის მუსიკაზე სრულდება, რომელიც არ არის ადვილად აღსაქმელი. სიჩუმე, რომელიც მელოდიაშია მოცემული, ცეკვაშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და მოცეკვავეებისაგან ყურადღების განსაკუთრებულ კონცენტრაციას მოითხოვს. დასის სო-

ლისტები, რომლებიც ამ ბალეტს ცეკვავენ, ერთ მთლიანობას ქმნიან. კილიანთან, როგორც ბალანჩინთან, არ არსებობს სოლისტისა და კორდებალეტის ცალკე აღებული ფუნქციები. აქ ყველაფერი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ნინო გოგუამ, ლალი კანდელაკმა, ცისია ჩოლოყაშვილმა, ანა მურადელმა, ლაშა ხოზაშვილმა, ვასილ ახმეტელმა, დავით ხოზაშვილმა, ირაკლი ბახტაძემ მოძებნეს ქორეოგრაფის ჩანაფიქრის, მისი ტექსტის წაკითხვის გასაღები, რაშიც მათ უდავოდ დიდი დახმარება გაუწია დამდგმელმა ბალეტმაისტერებმა ნენსი ეუვერინკმა და კენ ოსოლამ.



ექვსი ცეკვა მნიშვნელოვანი ბალეტია, უფრო კონტრასტული Stepping Stones-ზე, ნათელი ფერებით. საერთო მათთვის ისაა, რომ მათში მეტად მნიშვნელოვანია მუსიკალურობა. მოცარტმა ექვსი გერმანული ცეკვა ორი საუკუნის წინ, ავსტრია-თურქეთის ომის პერიოდში, შექმნა. ამ ნაწარმოებზე დადგმულ ქორეოგრაფიაში არსებითია მოცეკვავეთა სტილიზებული მოძრაობები და სამსახიობო ოსტატობა. თუმცა ქორეოგრაფს მიაჩნია, რომ მხოლოდ სანახაობრივი მხარე არ უნდა იქნას დანახული ბალეტში. მან ყოფიერებაზე მაღლა უნდა დაგვაყენოს და ღირებულებებისაკენ უნდა მიგვაბრუნოს. შემსრულებელთა ანსამბლმა (მარიამ ალექსიძე, ნინო ოჩიაური, ლანა მღებრიშვილი, ეკატერინე ლომინაძე, დავით ანანელი, გიორგი ჩხაიძე, გიორგი ბერიძე, გაგა გოგუა; ასევე ეკა მარშანიამ, ქეთი აბრალავამ, მორის მესხიამ, ზურა კარიჭაშვილმა). მშვენივრად შეძლო ამ ამოცანის გადაწყვეტა.

პრემიერის დღეს თბილისში ირჟი კილიანის წერილი მოვიდა:

ძვირფასო ნინო, ნენსი, პატრიკ, ქეის
და ყველა მონაწილევ,

ეს თქვენთვის მეტად განსაკუთრებული საღამოა. თქვენ ჩემს ორ ნაშრომს იცეკვებთ, რომლებსაც ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ და ვიცი, რომ მათ მაქსიმალური თავდაჯერებულობითა და თვითრწმენით შეასრულებთ. ერთადერთი, რასაც ვნანობ, არის ის, რომ ამ დროს თქვენთან ერთად ვერ ვიქნები. დიდი ხანია თქვენი ქვეყანა და კულტურა მიყვარს და ყოველთვის მსურდა ჩამოსვლა. თუმცა ახლა მხოლოდ ის შემიძლია, თქვენი შესრულება წარმოვიდგინო და გისურვოთ, რომ ჩემი ნაშრომების ცეკვით სიამოვნება მიიღოთ.

ფიქრებში, სულიერად თქვენთან ვარ. ვიცი, რომ ეს თქვენთვის სასიამოვნო გამოცდილება იქნება.

სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით,
ირჟი კილიანი”

კილიანის თანამშრომლობა ქართულ დასთან შედგა. სამომავლოდ ახალი დადგმებიც არ გამოირიცხება.

ილია თავგერიძე

SECHS TÄNZE

„სიამაყე და მგზნებარება მზიანი ქვეყნიდან"

ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე ქართულმა ბალეტმა მაღალი ჯილდო დაიმსახურა

ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე საბალეტო დასი 7 აგვისტოს გაემგზავრა. დაძაბულობა ქვეყანაში მხოლოდ პოლიტიკოსთა მკაცრი განცხადებებით იგრძნობოდა. საომარი მოქმედებები სამხრეთ ოსეთში 8 აგვისტოს დაიწყო, როცა დასი უკვე პირველი სპექტაკლისათვის ემზადებოდა. იმატა ნერვიულობამ, დაძაბულობამ. როგორც თავად მოცეკვავეები ამბობენ, ამ მოვლენებმა კიდევ უფრო გაამძაფრა ევროპაში დასის პირველ სერიოზულ გასტროლზე მაღალ დონეზე გამოსვლის სურვილი. მაგრამ ჟურნალისტები ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელისაგან კომენტარს არა მომავალ სპექტაკლზე, არამედ სამშობლოში არსებულ ვითარებაზე ითხოვდნენ. პირველი კომენტარი, რომელიც ნინო ანანიაშვილმა ედინბურგში გააკეთა დასის გადაწყვეტილებას შეეხებოდა – საქართველოს დედაქალაქ თბილისსა და ქვეყნის სხვა რეგიონების თავზე ბომბების ცვენის მიუხედავად სპექტაკლები გაგრძელდებოდა. „ჩვენ სცენაზე ყოფნა გვჭირდება, უნდა წარმოვადგინოთ ჩვენი ქვეყანა და ვიცეკვოთ მისთვის. გვსურს ვაჩვენოთ, ვინ ვართ, რას წარმოვადგენთ და ვისაუბროთ ხელოვნების ენაზე", – განაცხადა მან.

გაზეთი „სკოტცმენი"აღნიშნავდა: „ანანიაშვილის ხმაში მოცეკვავისათვის უჩვეულო ტონი ისმის. წლების განმავლობაში ის, რუსული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი სიმბოლოს – დიდი თეატრის წამყვანი ბალერინა იყო. თუმცა, როდესაც საქართველომ სამოქალაქო ომის წლების შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის მიწვევას დაეთანხმა და ქვეყნის დასუსტებული საბალეტო დასის ხელმძღვანელის როლი დაიკავა.

ორი წლის ქალიშვილის დედამ, რომელმაც საქართველო 13 წლის ასაკში დატოვა და რუსეთში გაემგზავრა, განაცხადა, რომ მას „ათასობით" შოკირებულმა რუსმა კოლეგამ და მეგობარმა დაურეკა. მისი თქმით, „რუსი ხალხი და რუსი პოლიტიკოსები ორი სხვადასხვა რამაა".

ანანიაშვილმა რუსეთის ქმედებას „დიდი შეცდომა" უწოდა. ედინბურგის თეატრში პრესკონფერენციაზე მას სიბრაზე ეტყობოდა, რასაც აქცენტით გამოთქმულ ინგლისურში პერიოდულად გარეული ქართულით გამოხატავდა".

ნინო ანანიაშვილმა ედინბურგიდან მოითხოვა საერთაშორისო დახმარება და აღნიშნა: „თუკი რეგიონში სტაბილური სიტუაცია გვსურს, რატომ უნდა აკონტროლებდნენ მას მხოლოდ რუსები? მოვიწვიოთ ხალხი ევროპიდან, რათა სიტუაცია მათი კონტროლის ქვეშ იყოს.

თუკი ვცდებით, ეს რუსების მაგივრად სხვამ გააკონტროლოს. არ შეიძლება ამას ქართველების მიერ წარმოქმნილი პრობლემა დავარქვათ, რადგან ეს ჩვენი ტერიტორიაა".

ქართული დასს პრობლემები ბევრი შეექმნა. თბილისიდან ვერ ჩაფრინდნენ მუსიკოსები, რომელთაც უნდა შეესრულებინათ ქართული მელოდიები ბალეტისათვის „საგალობელი". „ბრითიშ ეარვეიზის" მიერ საქართველოს მიმართულებით ფრენების გაუქმების გამო პირველი ჯგუფის სამშობლოში გამოფრენაც პრობლემური გახდა. მაგრამ, ამის მიუხედავად, გასტროლმა მაღალ დონეზე ჩაიარა.

საგასტროლო პროგრამაში შეტანილი იყო კლასიკური ბალეტი – „ჟიზელი" და ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა (ბალანჩინის „ჩაკონა", "Duo Concer-





tant", ალექსეი რატმანსკის „ვარიაციები" და იური პოსოხოვის „საგალობელი").

ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალის იმ მონაწილეთა შორის, რომლებმაც Herald Angels Awards-ის ჯილდო დაიმსახურეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასიც აღმოჩნდა. მათ ეს ჯილდო „ჟიზელისა" და ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამისათვის დაიმსახურეს, თუმცა დაჯილდოების ცერემონიალის დროს მათ ედინბურგი უკვე დატოვებული ჰქონდათ. ამიტომ, ჯილდო ფესტივალის ხელმძღვანელმა ჯონათან მილსმა ჩაიბარა. ცერემონიალი ფესტივალის თეატრში 16 აგვისტოს გაიმართა და 2008 წლის ფესტივალის პირველი კვირის მშვენიერი შეჯამება გამოდგა.

ეს ჯილდო 1996 წლის შემდეგ ედინბურგის ფესტივალის შემადგენელი ნაწილია. ჯილდო ხელოვნების სფეროში ინოვაციისა და მაღალი დონის შესრულებისათვის გაიცემა და რამდენიმე ფესტივალს მოიცავს: ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალი, The Fringe, ჯაზისა და ბლუზის ფესტივალი და ედინბურგის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი. ჯილდოს მფლობელები სხვადასხვა დროს გახდნენ ხელოვნების სფეროს უდიდესი წარმომადგენლები.

დაჯილდოების ცერემონიალი ედინბურგის ცენტრში აგვისტოს ყოველ შაბათს იმართება და ეს ფესტივალის კალენდრის უმნიშვნელოვანესი თარიღია.

„ჰერალდ ენჯელსი" ფესტივალის საუკეთესო შემსრულებლებსა და თეატრების სადადგმო პერსონალს გადაეცემა, რომელთაც ჟიურიზე დიდი შთაბეჭდილების მოხდენა მოახერხეს.

ბოლო 6 წლის განმავლობაში „ჰერალდ ენჯელსის" ჯილდოს სპონსორი შოტლანდიის ბანკია და გაზეთ „ჰერალდისა" და ბანკის ეს პარტნიორობა ფესტივალის დასამახსოვრებელი წარმოდგენების მონაწილეთა შრომას აფასებს.

გთავაზობთ უცხოური პრესის შეფასებებს საბალეტო დასის გამოსვლასთან დაკავშირებით. დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით თითოეული რეცენზია ფესტივალზე ვარსკვლავებით ფასდება. ყველაზე მაღალი შეფასება – ხუთი ვარსკვლავი, დასმა რამდენჯერმე დაიმსახურა.

The Herald

ფესტივალის პირველი კვირის ბრწყინვალე დასაწყისი

„ჟიზელი“ ედინბურგის თეატრში

★★★★★

მარი ბრენანი

ორშაბათი, 11 აგვისტო 2008

ნინო ანანიაშვილის მიერ „ჟიზელის“ შესრულება ნებისმიერ მაყურებელს მიიზიდავდა მათთვის ჯერ-ჯერობით უცნობი საქართველოს სახელმწიფო საბალეტო დასის სანახავად. როდესაც ფარდის დაშვების წინ მან მისი დასის მონაწილეებს ხელი ჩაჰკიდა, რათა ერთად შეგეგებოდნენ დამსახურებულ ოვაციას, ეს მისი, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელის მიღწევების ნათელი დემონსტრირება იყო.

„ჟიზელის“ მთავარი თემა – სიყვარულის მოტყუებული გრძნობა, მუდმივია, თუმცა მე-19 საუკუნის კლასიკური რომანტიული ბალეტის ენა თანამედროვე მაყურებლისათვის დაკარგულად ჩანს.

ამ შემთხვევაში მონაწილეთა ხასიათის გადმოცემაზე გაწეული სამუშაო მაყურებელს ბალეტის მორალური და ემოციური განცდის საშუალებას აძლევს. ვასილ ახმეტელის ალბერი მომხიბვლელი და ათლეტურია – არაა გასაკვირი, რომ ანანიაშვილის ჟიზელი გულმოკლულია მისი საქციელით, ალბერის მეტოქე ჰანსი – ირაკლი ბახტაძე კი მოწინააღმდეგის ნამდვილი სახის გამოჩენას ცდილობს.

ანანიაშვილის მიერ ტრაგედიის განცდის გადმოცემა აღმაფრთოვანებელია – მისი მოძრაობა, მისი თვალები დაუჯერებელ სევდას გადმოსცემს. მეორე მოქმედებაში მის მიერ ალბერის ვილისებისაგან დაცვა კი ვირტუოზული ტექნიკისა და სულიერების ფონზე ხდება, რაც ყოველ ნაბიჯში ჩანს. ლალი კანდელაკის მირტას მბრძანებლობის ქვეშ ვილისები ხაზების სისწორისა და ტექნიკის მაღალი დონის დემონსტრირებას ახდენენ და მამაკაცთა მიმართ სიძულვილს ნათლად გადმოსცემენ.

შოტლანდიის კამერული ორკესტრი, რობერტ კოულის დირიჟორობით, სცენაზე განვითარებულ მოვლენებს მშვენივრად აქცენტირებული მუსიკით ეხმაურებოდა. ეს ფესტივალის საცეკვაო პროგრამის ბრწყინვალე დასაწყისია.

THE SCOTSMAN

ქართული სახელმწიფო დასი – ეთამოქმედებიანი პროგრამა

★★★★★

კელი ეფთერი

13 აგვისტო 2008

მათს სამშობლოში მიმდინარე მძიმე მოვლენების ფონზე ქართულმა დასმა სცენაზე კიდევ ერთხელ გამოავლინა ხასიათის სიმტკიცე.

პირველი ბალეტი ჯორჯ ბალანჩინის „ჩაკონა“ იყო. ბალეტი ჰაეროვანი, გამჭვირვალე, უმაღლესი ხარისხის იყო. ისინი მშვენიერ კოსტიუმებში სცენაზე დაცურავდნენ და ნათელი მაგალითი იყვნენ იმისა, რომ ეს ერთ დროს დაბალი დონის დასი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობის ქვეშ სრულებით გარდაიქმნა.

„ბიზეს ვარიაციები“ – დიდი თეატრის ხელმძღვანელის, ალექსეი რატმანსკის ბალეტი, მაყურებელს ანანიაშვილს წარუდგენს. სამი წყვილისათვის შექმნილი მხიარული ბალეტი, რომელიც პარტნიორთა ურთიერთქმედებაზე აკეთებს აქცენტს, სიყვარულის, სურვილისა და მონატრების სიმბოლოა.

საღამო იური პოსოხოვის „საგალობლით“ დასრულდა, რომელიც ქართულ ფოლკლორულ მუსიკაზეა დადგმული. ნაშრომმა ქართული კულტურის არსი ნათლად გადმოსცა. ანანიაშვილისა და მისი დასის ფესტივალზე გამოსვლით მათ სამშობლოს შეუძლია იამაყოს.

STAGE

★★★★

უილიამ მაკივოი
21 აგვისტო

საქართველოს სახელმწიფო ბალეტის რამდენიმე მუსიკოსმა ერთმოქმედებიანი პროგრამის მუსიკის შესასრულებლად გამგზავრება ვერ მოახერხა და მოცეკვავეთა მიერ ცვალებად გარემოებებთან მისადაგება მათ პროფესიონალიზმზე მეტყველებს. მაღალი სამსახიობო და ტექნიკური შესრულების მაჩვენებელი წარმოდგენა, რომელიც დელიკატურიდან მთრთოლვარემდე იცვლებოდა, ამ ოთხი ნაშრომით მათი მოქნილობის, ელეგანტურობისა და სიმძლავრის დემონსტრირებას ახდენდა.

პირველი „ჩაკონაა“ – ბალანჩინის მიერ გლიუკის მუსიკაზე დადგმული ნაშრომი სოლოს, დუეტისა და ანსამბლისათვის, რომელშიც მოცეკვავეებს რთული მოძრაობების შესრულება უწევთ. დუეტების შესრულება „მცურავია“, ქალები ჰაეროვანნი არიან, სხეულები კი მშვენიერი სიმეტრიულობით მოძრაობენ.

ბოლო ბალეტი, „საგალობელი“, კლასიკური და ფოლკლორული ნაბიჯების ნაერთია, რომლის ხასიათიც მკვეთრად იცვლება. ვირტუოზულობის ნამდვილ შოუში ბალეტის ტემპი იზრდება, რაც განსაკუთრებით მამაკაცთა შესრულებისას ჩანს. „ჩანგის“ მუსიკოსებმა შოუში მონაწილეობა ვერ მოახერხეს, თუმცა მათი მუსიკა პროგრამის მშვენიერი დასკვნა გამოდგა.

ნინო ანანიაშვილი და დასის წევრები ედინბურგში

The Herald

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი – ეთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა

★★★★

მარი ბრენანი
14 აგვისტო 2008

ჩაკონა, ანა მურადელისა და ვასილ ახმეტელის მონაწილეობით, დროსთან ერთად უფრო და უფრო მეტად მტკიცე შესრულების მაგალითი იყო, “Duo Concertant “ კი – ბრწყინვალებისა.

ნინო გოგუამ და ლაშა ხოზაშვილმა ამ მუსიკას ამაღელვებლად უპასუხეს რითმულობითა და ხასიათის ცვლილებით. შესანიშნავი ტექნიკისა და ექსპრესიული ურთიერთდამოკიდებულების გამოსახვამ ეს წარმოდგენა აღმაფრთოვანებლად ლამაზი გახადა.

ანანიაშვილის პირადმა მონაწილეობამ რატმანსკის „ბიზეს ვარიაციებს“ გამოსახვა შესძინა. „საგალობელი“, იური პოსოხოვის მიერ ქართული ფოლკლორის საბალეტო ენით გადმოცემა, მამაკაცების ათლეტურობისა და ქალთა მომხიბვლელობის სიმბოლო იყო, რომელმაც ნამდვილი სიამოვნება განგვაცდევინა.

STAGE

„ჟიზელი“

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი ედინბურგის თეატრში

★★★★

ბრაიან კუპერი
21 აგვისტო

საქართველოს სახელმწიფო ბალეტის ეს გამორჩეულად ტრადიციული დაგმა მე-19 საუკუნის რომანტიკულ ბალეტთა ერას განეკუთვნება, თუმცა ჟან კორალის, ჟიულ პეროსა და მარიუს პეტიპას ქორეოგრაფიის ალექსეი ფადეეჩევისეული ვერსია ნადირობის ჩვეულ სცენას ცვლის. ვიაჩესლავ ოკუნევის პირველი მოქმედების გაფორმება და ტევტონური სტილის დეკორაციები დიდ მოწონებას იწვევს.

დიდი თეატრის ყოფილი პრიმა-ბალერინას ნინო ანანიაშვილის მიერ ჟიზელის როლის შესრულება, ხასიათის ცვალებადობა ბედნიერებიდან გაშმაგებამდე, უბრალოდ საოცრებაა. ის სცენის გასწვრივ დაცურავს, გასაოცარი სიმსუბუქით მოძრაობს და მეორე მოქმედების არსსაც ინტენსიურად გადმოსცემს.

ვახილ ახმეტელი ალბერის როლის კარგი შემსრულებელია. მისი პა დე დე ანანიაშვილთან მათ შეხვედრას სრულ დრამატულ ძალას აძლევს. ირაკლი ბახტაძე ილარიონის როლს სრულფასოვნად ასრულებს, ლალი კანდელაკი კი მირტას, ვილისების დედოფლის მშვენიერი გადმომცემია. სასიამოვნოა კორდებალეტის ხილვაც, ხოლო შოტლანდიის კამერული ორკესტრი რობერტ კოულის ხელმძღვანელობით, ადამის მუსიკას იდეალურად ასრულებს.

TIMES

"ჟიზელი" ედინბურგის თეატრში

★★★★

დონალდ ჰუტერა
12 აგვისტო 2008

ანანიაშვილი 40-ს გადაცილებულია, თუმცა ეს ათწლეულები ქრება, როდესაც ის ჟიზელის როლში გამოდის, რომელსაც სუსტი გული, თუმცა ძლიერი სიყვარული გააჩნია. დიდი თვალებით, მომხიბლავი ღიმილითა და მომცრო სხეულით ის ზუსტადაც რომ ჟიზელია, მორცხვი გოგო სოფლიდან, რომელსაც ვასილ ახმეტელის მიერ შესრულებული ალბერი ხიბლავს. ალბერის ორსახოვნების აღმოჩენის შემდეგ ანანიაშვილის ჟიზელის ხასიათი დრამატულად იცვლება და ახმეტელი მშვენივრად ესადაგება ამ ცვლილებას – ის კეთილშობილური ხასიათის გამოხატვასა და სინანულს ლამაზ ტექნიკას უთავსებს. პირველ სპექტაკლზე ასევე ძლიერი შესრულება შემოგვთავაზა ირაკლი ბახტაძემ, ალბერის მეტოქის როლში.

ლალი კანდელაკის მირტაზე უფრო დაუნდობელი და ხიფათის მომტანი მირტაც მინახავს, თუმცა ის მშვენიერი მოცეკვავეა. ვილისების დამოკიდებულება გაფიქრებინებდა, რომ ერთმანეთის დები იყვნენ, თუმცა ისინი ცეკვისას ზუსტ ფორმას ინარჩუნებდნენ შოტლანდიის კამერული ორკესტრის შესრულების ფონზე.

Telegraph.co.uk

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი ედინბურგის ფესტივალზე: სიამაყე და მგზნებარება მზიანი ქვეყნიდან

უილიამ მაკივოი
21 აგვისტო

მარკ მონაჰანი საქართველოს სახელმწიფო ბალეტის მიერ ედინბურგის ფესტივალზე წარმოდგენილ „ჟიზელსა“ და ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამას მიმოიხილავს.

„ჟიზელში“ 45 წლის თბილისელმა მოცეკვავემ იმდენად თავდადებული შესრულება აჩვენა, რომ მისი ასაკი არსად შეიმჩნეოდა.

პრინც ალბერზე შეყვარებული გოგონას როლში მან რომანტიკულობისა და მინდობის წარმოდგენა შესანიშნავად მოახერხა, რაც მერე ცვალებადი ხასიათის ჩვენებითა და სიგიჟის სცენის ბრწყინვალე გადმოცემით დააგვირგვინა.

კარგად გამოიყურებოდნენ გოგონები. მათ შესრულებაში ქართული სტილიც კი ჩანდა; მათ როგორც აქ, ისე ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამის რთულ „ჩაკონაშიც“ კი თავისუფალი გადმოცემა აჩვენეს.

„ჩაკონაში“ ანა მურადელი ანანიაშვილის სასცენო მემკვიდრეს ჰგავდა; მშვენივრად იცეკვა ცისია ჩოლოყაშვილმაც. ნინო გოგუამ და ლაშა ხოზაშვილმა "Duo Concertant" ცოცხლად გადმოსცეს, დიდი თეატრის საბალეტო ხელმძღვანელის ალექსეი რატმანსკის ახალი „ბიზეს ვარიაციები“ კი საინტერესო სექსტეტია, რომელიც ბალანჩინის დიდებულებას რობინსის მხიარულ სტილთან აერთიანებს.

თუმცა, ყველაზე მომხიბლავი წარმოდგენა „საგალობელი“ აღმოჩნდა, სან ფრანცისკოში მომუშავე ქორეოგრაფის, იური პოსოხოვის ნაშრომი. ამ წარმოდგენაში ერთმანეთს ერწყმება ბალეტი და ქართული ხალხური ცეკვა. ეს სპექტაკლი დასის ხასიათის საუკეთესოდ გადმომცემია.

ყვითელ, მზის ამოსვლის ფონზე გოგონათა სილუეტები მგრძნობიარედ ირხევა მკლავებთან ერთად, მათი ხელები და ფეხები კი შეტრიალებულია – ეს ყველაფერი ამაყი, მგზნებარე და მზიანი ქვეყნის ხასიათს გადმოსცემს, რომელში დაბრუნებაც ამ დასს აღბათ ძალიან მალე სურს.

ჩემო ჩელიტა, ნახვამდის!

27 ივნისს, 156-ე თეატრალური სეზონის ბოლოს, ნინო ანანიაშვილის ფონდის ეგიდით საქველმოქმედო სპექტაკლი გაიმართა. „დონ კიხოტში“ ჩელიტას პარტიას თავად პრიმა-ბალერინა ასრულებდა. თუმცა, წინასწარ გამოცხადებული არ ყოფილა, ამ ბალეტში ეს მისი ბოლო გამოსვლა თუ იქნებოდა. თავისი საცეკვავო კარიერის დასაწყისში ნინო ანანიაშვილი თბილისელმა მაყურებელმა პირველად სწორედ ჩელიტას პარტიაში იხილა და ამ კლასიკური ბალეტის ახალი რედაქციაც, რომელიც ალექსეი ფადეეჩევთან ერთად მასვე ეკუთვნის, თავისი პედაგოგის, თავად განუმეორებელი კიტრის – რაისა სტრუჩკოვას ხსოვნას მიუძღვნა.

ამ მეტად ამაღელვებელი სპექტაკლისათვის ნინო ანანიაშვილმა ორიგინალური იდეა მოიფიქრა. იგი ჩელიტას პარტიასთან ერთად დაემშვიდობა მის ყველა კოსტიუმს, რომელშიც მას ეს ბალეტი მსოფლიოს მრავალი თეატრის სცენაზე უცეკვია. სპექტაკლის მსვლელობისას მან რვაჯერ გამოიცვალა კოსტიუმი, ხოლო დანარჩენების ხილვის საშუალება მაყურებელს თეატრის ცისფერ დარბაზში მოწყობილ გამოფენაზე შეეძლო.

ნინო ანანიაშვილი, ლაშა ხოზაშვილი

კიდევ ერთი ორიგინალური სიურპრიზი პრიმა-ბალერინამ მაყურებელს მესამე მოქმედებაში, გრან პას შერულების დროს, მოუმზადა. მან ადაჟიო ოთხ პარტნიორთან, ოთხ ბაზილთან ერთად იცეკვა. მაყურებელს და თავად დასის სოლისტებს – ვასილ ახმეტელს, ლაშა ხოზაშვილს, დავით ხოზაშვილს, ირაკლი ბახტაძეს ამ საჩუქარს რომ უმზადებდა, იგი ფიქრობდა არა მხოლოდ როგორც მოცეკვავე, არამედ როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელსაც სურდა იმ საღამოს სრულად წარმოჩენილიყო საბალეტო დასის შესაძლებლობანი.

ნინო ანანიაშვილი, დავით ხოზაშვილი

ვირტუოზული შესრულება, სამსახიობო ოსტატობა და გარდასახვის დიდი ნიჭი, რაც ნინო ანანიაშვილს გამოარჩევს ჩელიტას პარტიაში, ამ სპექტაკლზე კიდევ ერთხელ გაბრწყინდა.

სპექტაკლის ბოლო სცენაში ახალი თავგადასავლების საძიებლად მიმავალმა დონ კიხოტმა თან გაიყოლა ჩელიტა-ნინო ანანიაშვილი. როგორც იმ დღეს მოსწრებულად ხუმრობდენენ კულისებში, ბოლოს და ბოლოს მან იპოვა თავისი დულსინეა. ასეთ ფინალს არ შეიძლებოდა აუღელვებელი დაეტოვებინა მაყურებელი, რომელიც, მართალი გითხრათ, კარგად ვერ მიხვდა საუკეთესო ფორმაში მყოფი პრიმა-ბალერინა რატომ დაემშვიდობა მისთვის საყვარელ პარტიას. თავად ნინო ანანიაშვილი ამაზე კომენტარს არ აკეთებს. თუმცა, პრიმა-ბალერინა კიდევ არაერთხელ შეძლებს სცენაზე გამოსვლით გაახაროს საკუთარი თაყვანისმცემლები.

ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი

ნინო ანანიაშვილი, ირაკლი ბახტაძე

კლას–კონცერტიდან კონკიას სიზმარში

ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოსაშვები საღამო

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის გამოსაშვებ საღამოზე ერთგვარ ტრადიციას წარმოადგენს კლასიკური ბალეტიდან ერთი რომელიმე მოქმედების წარმოდგენა. ამ მხრივ არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი. მაყურებელმა „გედების ტბის“ მეორე მოქმედება იხილა, სადაც ოდეტას პარტიას სასწავლებლის გამოსაშვები კლასის მოსწავლე ანა გორგიაშვილი ასრულებდა, ხოლო ზიგფრიდს – საბალეტო დასის მსახიობი დავით ანანელი. მაგრამ, გამოსაშვებმა საღამომ წელს ერთგვარი ექსპერიმენტის სახე მიიღო და ტრადიციის გვერდით, ასე ვთქვათ, ნოვაცია იქნა შემოთავაზებული, რომელიც ჩვენი აზრით, სწორ ხედვას წარმოადგენს საბალეტო ხელოვნების განვითარებისათვის.

წლევანდელ გამოსაშვებ საღამოში, რომელიც 13 და 14 ივნისს გაიმართა ოპერისა და ბალეტის თეატრში, სასწავლებლის ყველა თაობა მონაწილეობდა. ნუკრი მაღალაშვილის მიერ დადგმული საღამო „კლას – კონცერტით“ დაიწყო, „გედების ტბის“ მეორე მოქმედებით გაგრძელდა და ბოლო მოქმედებაში „კონკიათი“ დასრულდა, რომლის ორიგინალური ვერსია მედეა და ნუკრი მაღალაშვილებს ეკუთვნოდათ. საღამოს მთელი ქორეოგრაფია ისე იყო მოფიქრებული, რომ მაქსიმალურად წარმოეჩინათ მოსწავლეთა შესაძლებლობები.

ამ საღამოს მოწყობაზე ბევრი იშრომა სასწავლებლის მთელმა კოლექტივმა (დირექტორი ზვიად ბაქრაძე, სასწავლო ნაწილის გამგე მანანა ჩაფიჩაძე), თითოეულმა პედაგოგმა, კონცერტმაისტერმა.

„კლას-კონცერტი“ ნ. მაღალაშვილმა რიჰარდ შტრაუსის მუსიკაზე დადგა და მას, პირველიდან დამამთავრებელი კლასის ჩათვლით, სასაწავლებლის საუკეთესო მოსწავლეები ასრულებდნენ. სავარჯიშო დარბაზის მსგავსი, ძელებით გარშემორტყმული სცენა ბალერინების ყოველდღიური სივრცეა, ერთგვარი ჩარჩო, სადაც თითოეულ მოსწავლეს თვითმყოფად მოცეკვავედ ჩამოყალიბებისათვის ხანგრძლივი შრომა უხდება. ყოველდღიური გაკვეთილის, კლასიკური ცეკვის ელემენტებისა და სხვადასხვა კომბინაციათა ჩვენებით ქორეოგრაფმა საშუალება მოგვცა თვალი მიგვედევნებინა სასწავლებელში არსებული სასწავლო პროგრამებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობებისათვის. გარდა კლასიკური ცეკვის მოძრაობებისა, ჩვენ ვიხილეთ სახასიათო, ქართული და აღმოსავლური ცეკვების შემსწავლელი კლასების ნამუშევრები, რომელიც მთლიანობაში ბალეტის მომავალი მსახიობის სწორ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ბალერინის რთული და შრომატევადი საქმიანობა დამდგმელებმა კლას-კონცერტიდან „კონკიას სიზმარში“ გადაიტანეს. პატარა ობოლი გოგო ოცნებობს იცეკვოს უფლისწულთან. კლასიკურ ბალეტების უმრავლესობაშიც ხომ ასეა.

მაგრამ სპექტაკლში ყველაზე საინტერესო იყო არა ის, რომ კონკია ცეკვაზე ოცნებობს და საჩუქრად პუანტებს იღებს, არამედ ის, რომ ბალეტში არსებული პერსონაჟები განყენებული და ზღაპრული გმირების ნაცვლად თანამედროვე, რეალურ ადამიანებს, მათი ასაკის ბავშვებს ასახიერებენ.

გროტესკში დანახული დედინაცვლის სახე, გამარჯვებულთა პოზა, დაჭიმული და ნერვიული ხელები, თითქოს წელში გადატეხილი მოძრაობები, კონკიაზე უხეში და ძლიერი ბატმანებით მიტანილი იერიში, ზოგჯერ პრანჭია და ზოგჯერ განრისხებული ეკა სურმავას დედინაცვალი საკმაოდ შორს დგას და აბსოლუტურად ახლებურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს ზღაპრებში ცნობილი ანჩხლი დედინაცვლის სახისგან. ეს იყო როლის ახლებური წაკითვა, საინტერესოდ შექმნილი დრამატული სახე.

დედინაცვალის პარტიის გარდა ბრწყინვალე სამსახიობო სახეები შექმნეს დედინაცვლის შვილებმა – ქეთი მესხიშვილმა, თაკო ჭუმბურიძემ და ნინო ხარაძემ. თუ ქეთი მესხიშვილის გმირი უფრო აქტიური, ცელქი, მოუსვენარი და ცხვირაწეულია, თაკო ჭუმბურიძე ბუტია და აბეზარ შვილს განასახიერებს. თუ დედინაცვლის მოძრაობები გრან-ბატმანებზე იყო აგებული, შვილების პარტიაში ჭარბობდა ნახტომები, რომელიც შეიძლება ითქვას კლასიკური ნახტომების გაშარჟებულ სახეს წარმოადგენდა, ოღონდ ტექნიკურად სუფთად იყო შესრულებული.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ როგორც „გედების ტბაში“, ასევე „კონკიას სიზმარში“ საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა სასწავლებლის მოსწავლეებისაგან შემდგარი კორდებალეტი. ასევე გვსურს გამოვყოთ პა დე ტრუა ნუცა ჩეკურაშვილის, მარიამ ელოშვილისა და მამუკა კიკალიშვილის შემადგენლობით.

ანა გორგიაშვილის და ანა-ზაირა ალბუთაშვილის შესრულებით კონკიას ორი განსხვავებული სახე ვიხილეთ, ორივე ლირიკული, მაგრამ არა სევდიანი, არამედ დახვეწილი, ნაზი და ჰაეროვანი. მათ შესრულებას უფრო თავისუფალს და გაბედულს ხდიდა საბალეტო დასის წამყვანი სოლისტის ლაშა ხოზაშვილისა და დასის მსახიობის დავით ანანელის პარტნიორობა.

ანა გორგიაშვილმა წელს დაამთავრა საბალეტო სასწავლებელი (პედაგოგი მედეა მაღალაშვილი) და ეს საღამო მისი დამშვიდობებაც იყო სასწავლებელთან. მისი ლამაზი ფაქტურა, ენერგიულობა და დახვეწილი ფორმები კარგად იკითხებოდა ოდეტას პარტიაში. მეჯლისზე წასასვლელად კი კონკია-გორგიაშვილისათვის ნაჩუქარი პუანტი მისთვის გზის დალოცვის სიმბოლურ მნიშვნელობას იძენდა. ანა საბალეტო დასში ჩაირიცხა.

მერი გურგენიძე

გიორგი ალექსიძე

გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, მაისში, სანკტ-პეტერბურგის მსახიობის სახლში გიორგი ალექსიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. პეტერბურგის საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გამოხატა უდიდესი თაყვანისცემა ხელოვანისადმი, რომლის ამ ქვეყნიდან წასვლა დიდი დანაკლისია საბალეტო სამყაროსათვის. მისი უჩვეულო ესთეტიკის მატარებელი ბალეტების ქორეოგრაფიული ენა და სტილი აღფრთოვანებულს ტოვებდა ბალეტომანებსა და ხელოვნების თაყვანისმცემელთ.

1960 წელს გ. ალექსიძემ დაამთავრა მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებელი, 1967 წელს კი ლენინგრადის სახელმწიფო კონსერვატორიის საბალეტმაისტერო ფაკულტეტი. სწორედ კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში შედგა მისი, როგორც ქორეოგრაფის დებიუტი. იმჟამად ლენინგრადის კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტმა, ფიოდორ ლოპუხოვის ნიჭიერმა მოსწავლემ, საკუთარი ქორეოგრაფიული ნამუშევრები წარმოადგინა და მას „კამერული ბალეტისა და მუსიკის საღამო“ უწოდა. საბალეტო დასი, რომელიც ამ საღამოში მონაწილეობდა, მარიას თეატრის სოლისტებისაგან შედგებოდა – ირინა კოლპაკოვა, ალა ოსიპენკო, ნატალია მაკაროვა, გაბრიელა კომლევა, ნიკიტა დოლგუშინი. გ. ალექსიძის ქორეოგრაფიაში სიახლე თავად ამ ქორეოგრაფიის ფორმა იყო. სოციალიზმის პირობებში მაყურებელი უჩვეულო ესთეტიკის მოწმე ხდებოდა. კამერულ ბალეტებში არა დრამატულ შინაარსს, არამედ ფორმას ექცეოდა დიდი მნიშვნელობა. სულ მალე ქორეოგრაფის სტილი ახლობელი გახდა ბალეტის პეტერბურგელი კორიფეებისათვის. პლასტიკურ გამომსახველობაზე დაფუძნებული, ემოციური და ექსპრესიული ბალეტები დაუდგა ქორეოგრაფმა ირინა კოლპაკოვასა და ვლადილენ სემიონოვს (მოცარტის რე მაჟორული დივერტისმენტი, ვივალდის ფა მაჟორული კონცერტი), გაბრიელა კომლევასა და კონსტანტინე ზაკლინსკის (ბრამსის ვარიაციები ჰაიდნისა და შუმანის თემებზე), მიხეილ ბარიშნიკოვს (მოცარტის სამშვენისები).

1972 წელს გ. ალექსიძე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარ ბალეტმაისტერად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე სამი ათეული წელი იმუშავა (1972-1980, 1985-2004 წლებში). მან სრულიად ახლებური ესთეტიკა მოიტანა თეატრში. ახლებური აქ მუსიკისადმი დამოკიდებულება გახლდათ. ქორეოგრაფს მუსიკა მისი ბუნებიდან გამომდინარე ესმოდა, მუსიკალური დრამატურგია აძლევდა პერსონაჟების შექმნის საშუალებას. იგი ცდილობდა ღრმად ჩამწვდარიყო მუსიკის სიღრმეში და კომპოზიტორისა და მისი მუსიკის ბუნების შესატყვისი ქორეოგრაფიული ენა მოეძებნა.

ამ პრინციპებით შეიქმნა გიორგი ალექსიძის ბალეტები როგორც ქართველი, ასევე უცხოელი კომპოზიტორე-

ბის მუსიკაზე. საკუთარი ლიბრეტოების მიხედვით მან დადგა ბალეტები: ს. ცინცაძის „დალი და მონადირე“, რ. გაბიჩვაძის „მედეა“, გ.ყანჩელის „ფედრა“ (დიპლიპიტო), ს.ნასიძის „მეფე ლირი“ (ნ.დოლგუშინისათვის), ბ.კვერნაძის „ბერიკაობა“, ს. ცინცაძის „ანტიკური ესკიზები“, ს.ნასიძის „ფიროსმანი“, სამმოქმედებიანი ბალეტი „ამორძალები“ (ვ. კახიძის მუსიკაზე). ამასთან ერთად მან შექმნა კლასიკური ბალეტების – „მაკნატუნას“, „კოპელიას“, „სილვიას“, „კონკიას“, „ძე ცთომილის“, „პულჩინელას“ საკუთარი ქორეოგრაფიული ვერსიები. გაუსაძლის 90-იან წლებში კი ბევრი რამ გააკეთა ქართული საბალეტო დასის გადასარჩენად. ამ წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ბალეტმაისტერმა დადგა დრამატული ბალეტების, სიმფონიური ცეკვებისა და ნეოკლასიკური ბალეტების საღამოები დვორჟაკის, ჰინდემიტის, მოცარტის, ჰაიდნის ნაწარმოებებზე (ამ პროგრამისათვის გ. ალექსიძეს 1999 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა). „სიმფონიურმა ცეკვებმა“ ქორეოგრაფსა და ქართულ საბალეტო დასს კიდევ ერთი აღიარება მოუტანა ედინბურგის საერთაშორისო Fringe ფესტივალზე 1997 წელს.

ქორეოგრაფის შემოქმედება იმთავითვე საინტერესო იყო უცხოელი საბალეტო კომპანიებისათვის, მაგრამ ბარიშნიკოვის და მაკაროვას, საზღვარგარეთ დარჩენის გამო, მას მხოლოდ პერესტროიკის წლებში მიეცა საზღვარგარეთ მუშაობის საშუალება. იგი დგამდა მონტე კარლოს, ბოლონიის, ვილნიუსის, ალმა-ატის, გენუას, ბაქოს, პერმის, ნოვოსიბირსკის, სვერდლოვსკის ოპერისა და ბალეტის, მოსკოვის ერმიტაჟის თეატრებისათვის, ნატალია მაკაროვას ცეკვის კომპანიისა და ბორის ეიფმანის თეატრისათვის (ეს უკანასკნელი მისი მოსწავლე იყო). 2005 წელს ტაშკენტის თეატრში უზბეკური ნაციონალური ცეკვების საფუძველზე გ. ალექსიძემ შექმნა ორმოქმედებიანი ბალეტი „ჰუმონი“. ბოლონიაში, რობერტ სტურუასთან ერთად, ქორეოგრაფმა დადგა ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, ისრაელში – „ტარტიუფი“, დიდ თეატრში – ჩაიკოვსკის „მაზეპა“. რეჟისორ რ. სტურუასთან თანამშრომლობა რუსთაველის თეატრშიც გრძელდებოდა. გ. ალექსიძეს ეკუთვნის რ. სტურუას გახმაურებული სპექტაკლების – „სტიქსის“, „ჰამლეტის“, „ქალი-გველის“, „კაცია-ადამიანის?!“, „გოდოს მოლოდინში“ ქორეოგრაფია.

გასულ წელს ლეონიდ იაკობსონის სახელობის პეტერბურგის ბალეტის თეატრში გაიმართა გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის საღამო – „კლასიციზმიდან პოსტმოდერნიზმამდე“. ეს საღამო, ფიზიკური ტრამვის შემდეგ, მაესტროს ახალი შემოქმედებითი შეხვედრა იყო მაყურებელთან, რომელსაც 22 ახალი საბალეტო მინიატურა შესთავაზა. მაესტრო ამ საღამოზეც ქართველი კომპოზიტორების ერთგული დარჩა. მესიანის, შონბერგის, ბეთჰოვენის, შოსტაკოვიჩის, ვებერის, მალერის, ნაწარმოებებთან ერთად მან პროგრამაში შეიტანა ი. კეჭაყმაძის, გ. ყანჩელის მუსიკაზე შექმნილი ბალეტები.

გიორგი ალექსიძეს ქართული საზოგადოება 24 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამოეთხოვა. ქორეოგრაფი დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

Мы не можем поверить, что такого светлого человека нет больше с нами. Удивительное тепло всегда исходило от Гоги. Редкая, неповторимая интелигентность, которую невозможно забыть, навсегда останется в нашей памяти.

Мы благодарим Судьбу за счастливую встречу с этим замечательным Человеком и хореографом.

И нам очень хочется верить, что своеобразный, необычный талант Георгия Алексидзе заимет свое уникальное место в истории классического наследия!

Спасибо тебе дорогой, любимый Гоги.

Ирина Колпакова, Михаил Барышников, Владилен Семенов

Творческое сотрудничество с Георгием Алексидзе – одним из выдающихся и талантливеиших хореографов нашего времени – является особой статьей моей актерской биографии.

Гоги был художником с очень ярко выраженным индивидуальным почерком, который, в то же время, отвечал наивисшим стандартам мирового балетного искуства.

Через многие годы мы пронесли с ним человеческую любовь и уважение по отношению друг к другу. Но сеичас, когда к большому и всеобщему горю, он так преждевременно покинул, эти связывающие нити прервались навсегда.

И тем не менее, в моей памяти и в моей сердце, он навечно останется бесценным другом и саратником – моим Гоги!

Михаил Барышников

Трагический уход Гоги из жизни для меня поистине великое горе.

Кроме того, что Георгий Алексидзе был большим художником, он был также и первым долгом, человеком «с большой буквы». И нам будет совсем нелегко пережить ету потерю...

Наталья Макарова

გ. ყანჩელის „ბრონეულის ყვავილი“ სერგო ფარაჯანოვის ხსოვნას მიუძღვნა, რომლის კინო-შედევრის „აშიკ-ქერიბის“ ქორეოგრაფიაც თავად ეკუთვნოდა.

გიორგი ალექსიძე დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა ბალეტმაისტერების აღზრდას, როგორც აქ თბილისში, ასევე პეტერბურგში. მოცეკვავეებსა და მომავალ ბალეტმაისტერებში მან ცეკვისა და მუსიკისადმი სრულიად სხვაგვარი, ახლებური მიდგომები ჩამოაყალიბა. გიორგი ალექსიძემ გაკვალული დატოვა გზა, რომელზეც გავლა რთული იქნება, მაგრამ დიდი და სასარგებლო საბალეტო ხელოვნებისათვის.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

„ჩემთვის ასი წლის სპექტაკლიც ახალივითაა"

თეატრალურ სამყაროში მას ყველა ზუზუს ეძახის. ის ყველას ძალიან უყვარს და განსაკუთრებულად ენდობიან. მისთვის არ არსებობს დიდი და პატარა მსახიობი, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო როლი, პრემიერა და მორიგი სპექტაკლი. არასოდეს აძლევს საკუთარ თავს იმის უფლებას, ცუდ ხასიათზე იყოს, რადგან იცის, რომ მისი კეთილგანწყობა, სცენაზე გასვლის წინ მსახიობზე აუცილებლად კარგ გავლენას მოახდენს.

თავისი ცხოვრება თეატრს 43 წლის წინ დაუკავშირა. წარსულიდან არაჩვეულებრივი მოგონებები მოჰყვება. მსახიობობაზე მეოცნებე სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი, აკაკი ხორავასა და სერგო ზაქარიაძის წყალობით, რუსთაველის თეატრში მოხვდა. ჯერ შეგირდობის ხანა გაიარა და უფროსებისაგან შესანიშნავად დაეუფლა გრიმის კეთებას. თანდათანობით ამ პროფესიამ გაიტაცა და როცა კულტურის მინისტრის ოთარ თაქთაქიშვილის ხელშეწყობით ოპერისა და ბალეტის თეატრში გადავიდა, ამ გარემოსთან შეგუება ცოტათი გაუძნელდა. ოპერის თეატრში საგრიმიოროს არტემ კერვალიშვილი განაგებდა, ამ ადამიანს დღემდე ბევრს უმადლის.

თეატრში ბევრი რამ ისწავლა.

> **„შეიძლება თეატრში, მსახიობებთან უგულოდ საქმიანობდე? ეს გამორიცხულია, მე ჩემს ქალიშვილებსაც ამ სულისკვეთებით ვზრდი. სპექტაკლის დროს მსახიობის თვალებში უნდა ამოიკითხო მისი განწყობა. ამიტომაც, სახეს უდიდესი დატვირთვა ენიჭება, თუმცა არც ვარცხნილობა და კოსტიუმია ნაკლებად აქტუალური. მე ყველა დეტალს ერთნაირი გულისყურით ვეპყრობი, რადგან ადამიანი, რომელიც ჩემთან მოვიდა, მენდობა. მისთვის ღალატი არ შემიძლია".**

ზაზას თეატრი ნამდვილ ოჯახად მიაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე არასოდეს ჩნდება, მისი ნამუშევარი, მისი წვლილი ყველა მსახიობში დევს. ამიტომაც სპექტაკლის ბოლოს ოვაციას და ტაშს ისიც ჩვეულებისამებრ ინაწილებს. თითოეული მსახიობის, მომღერლისა თუ მოცეკვავის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს. მისი პროფესია თავისებურ საიდუმლოს შეიცავს. ასი წლის სპექტაკლიც კი ზაზასთვის ყოველთვის ახალივითაა. როგორი დაღონებულიც არ უნდა შევიდეს მასთან მსახიობი, იქ აუცილებლად კარგ ხასიათზე დგება.

ზაზა ცდილობს, დიდთან და პატარასთან ერთნაირად კარგ დამოკიდებულებაში იყოს, რადგან თვლის, რომ თუ კარგად გაუგო მსახიობმა, აუცილებლად დაუჯერებს და დაემორჩილება. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც მხოლოდ თავისი სტილი აქვთ.

მისთვის თეატრი ის ადგილია, რომელიც ადამიანივით გთხოვს სიყვარულს. ამ სიყვარულისათვის მას უკან არასოდეს დაუხევია. დღემდე სიყვარულით იხსენებს ვახტანგ ჭაბუკიანს, რომელიც მას საოცრად ენდობოდა.

ზაზას სამუშაო ოთახის კედლები ქართული თეატრალური სამყაროს ერთგვარი ფოტომატიანეა. აქ გამოფენილი თითოეული ფოტო მის შემოქმედებით საქმიანობას ასახავს. ამიტომაც თითოეულ ფოტოს თავისებური დატვირთვა აქვს, ისინი ერთანეთს ესაუბრებიან, ერთმანეთს უამბობენო, – გვიხსნის ბატონი ზაზა. აქ არ განირჩევიან დიდი და პატარა ხელოვანები, ასეთ დაყოფას არ ცნობს თავად ხელოვანი. აქ ყველას თეატრის სიყვარული აერთიანებს და ამიტომაც არ გბეზრდება მათი თვალიერება. მისთვის კი თითოეული ფოტო ლამაზ წარსულთან მიბრუნებაა.

ნინო მდივანაძე

A Farewell to Chelita

On June 27, to mark the closing of 156-th theaticral season, a charity performance took place, organized by the Nina Ananiashvili Foundation. The prima ballerina performed the Chelita role for the last time, and for this emotional show she also bid farewell to all of the costumes she had danced in while performing the role on stages around the world. Another surprise came during the grand pas of the third act – she danced the adagio with four Basils – Vasil Akhmeteli, Lasha Khozashvili, David Khozashvili and Irakli Bakhtadze. Don Quixote, heading for the new adventures in the last scene of the ballet, took Chelita – Nina Ananiashvili, with him.

Success for the State Ballet of Georgia at the Edinburgh International Festival

The Ballet Company departed to Edinburgh International Festival on August 7, while the conflict in South Ossetia began a day after, when the Company was busy rehearsing for the first performance. The first comment on Company's decision was declared by Nina Ananiashvili in Edinburgh – despite the bombing of Georgian cities, the performances would continue. "We need to be on stage, we need to show our country, we need to dance for our country. We want to show who we are, what we do, and that art is something else we can talk about,"she announced.

She demanded the international assistance from Edinburgh, stating: "If we want to have a stable situation there, why just Russians? Let's bring somebody else from Ukraine, or Europe, to stay there and control the situation." "You cannot call it the stupid Georgians doing something, because it's our territory. We don't do one step out. It's inside our territory."

The Company became one of the participants of the Festival honoured by the Herald Angels Award, although they had already left Edinburgh by the awarding ceremony. The foreign press awarded high ratings to the performances of the Company at the Festival. According to the established tradition, each review comes with a star rating, and the Company received several five-star reviews.

George Aleksidze Passed Away

George Aleksidze's funeral ceremony took place on June 24, beginning at the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre and concluding at the Didube Pantheon of Statesmen. A month before the funeral the George Aleksidze Cultural Evening was held at the St. Petersburg Actor's House. The audience expressed tremendous adoration to the artist, who will be missed by the ballet world. The choreographical language of his ballets, carrying unusual aesthetics, left the balletomanes and art followers in awe.

Press-conference Prior to the Premiere

On October 16, prior to the premiere of Jirí Kylián's ballets, a press-conference was held at the Blue Hall of the Theatre. The staging group was presented to the media by the Artistic Director of Ballet Company, Nina Ananiashvili. Staging Ballet masters Nancy Euverink and Patrick Delcroix and the Lighting and Stage Adaptation Manager Kees Tjebbes took part in the press-conference. Nina Ananiashvli stated that the acquiring of the Kylián's ballets is a significant declaration from the Ballet Company.

Each of Kylián's new ballets is a challenge for a dancer

The Director of the Ballet Company had needed to put in a lot of work during many years to be able to stage Kylián's works. The permission for staging was received at the time when November's unfortunate events took place in Tbilisi and the staging was postponed for a year. The work resumed in the country that had already went through the war. Before the premiere we had interviews with the Staging Choreographers – Nancy Euverink, Ken Ossola and Patrick Delcroix.

Nancy Euverink: Me and Ken have been among the first performes of this ballet and it was especially pleasing for me that I danced with him. Dancing on pointe was a fresh impression and experience for me. This time we are remembering details all the time and this process is no less entertaining.

Ken Ossola: I am happy with what I saw and with the level we are working at. The Company has the potential to achieve the level required for dancing Kylián's ballets and the will to do that is there as well.

Patrick Delcroix: "Sechs Tänze" has been easier for the Company to work on, as the ballet is not tough technically and is easier to understand music-wise. They required more time for theatrical understanding and transforming. "Stepping Stones" requires more concentration, more control over every detail; knowing how to take it easy and be light. The amount of the work has been great. I think the audience will be happy.

Kees Tjebbes: The understanding of the Kylián's ballets should make people better in life

Kees Tjebbes arived in Tbilisi a few days prior to the premiere of the Kylián's ballets and joined the staging group. He worked on the Lighting and Stage Adaptation alongside the technical crew of the Theatre. A great expert of his job and a very interesting person, he agreed to have an interview with the "Arabesque" magazine and expressed the wish for the Georgian audience to understand the basis of Kylián's ballets and that this would not be the last collaboration between the parties.

Friends of the Georgian Ballet Have Gathered Again

On October 18, to mark the first ballet premiere of the 157-th Theatrical Season, people willing to support the Georgian Ballet throughout this season have gathered in the Red Hall of the Theatre. The Chairman of the organization, Mrs. Mariella C. Tefft noted that still there are people declaring their support to the revival of the Georgian Ballet. The organization has devoted itself to supporting the raising the new generations of the ballet art and it hands out the certificates of the graduates annually. The same happened this time:

Lia Gogolashvili Scholarship was received by **Anna Gvimradze**.
Nelly Gipson Scholarship went to **Melor Kokashvili** and **Tengiz Khutsishvili**
Marylis Sevilla-Gonzaga Scholarship was awarded to **Tamar Khurtsilava**
Mayumi Iino Scholarship was received by **Rati Skhirtladze**
Izumi Takahashi Scholarship went to **Mariam Matitaishvili**
Virginia Minges Scholarship was awarded to **Shota Chavchanidze**

ISSN 1512-3294
9 771512 292002 >